საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.10.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 086/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 11 აპრილს მან საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით მინდობილობა(N) გააფორმა ადვოკატ ი. კ.-სთან. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის საოჯახო დავა და შეგებებული სარჩელი უნდა წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორის თანახმად, ადვოკატმა ჰონორარის სახით მოითხოვა 1250 ლარი და აღნიშნული თანხა მან ადვოკატს გადაუხადა. ჰონორარის მიღების შემდეგ, ადვოკატმა არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კლიენტის საქმეზე და მის მიერ დაწერილი შეგებებული სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. საჩივრის ატორის განმარტებით, მან საქმის მიმდინარეობის ეტაპზე შეიტყო, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია, რომ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში დაეცვა მისი ინტერესები, ალიმენტის თაობაზე მიმდინარე დავაში. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, საჩივრის ავტორმა 2023 წლის 17 აგვისტოს ადვოკატს გაუუქმა მინდობილობა(N) და მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება.

1.4 2023 წლის 9 ოქტომბერს, საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც განმარტა, რომ უარს ამბობს მის მიერ შემოტანილ საჩივარზე და მოითხოვა დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი ი. კ. არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია -სისხლის სამართალი.

2.2 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2023 წლის 9 ოქტომბერს, საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილ საჩივარზე აცხადებს უარს და სურს, კომისიამ შეწყვიტოს საქმეზე წარმოება.

4.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) („ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

4.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 22.1(ბ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №086/23 ადვოკატ ი. კ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/